

საქართველოს კანონი
„საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „საქართველოს შრომის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19.06.2006, №23, მუხ. 183) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) მძიმე, მავნე და საშიშ პირობებთან სამუშაოთა ნუსხა, აგრეთვე, დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევები და წესები – ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში;“;

2. 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) დასაქმების კერძო სააგენტოების სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესი – ამ კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში. დასაქმების კერძო სააგენტოდ მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას უმუშევრის ან სამუშაოს მაძიებლის დასაქმების მიზნით. ამ ნორმის მიზნებისთვის უმუშევრად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად;“;

3. 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3, მე-4 და მე-5 და მე-7 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

4. 54-ე მუხლს დაემატოს მე-8 ნაწილი შემდეგი რედაქციით:
„8. სსიპ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“ გარდაიქმნას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად „სოციალური სუბსიდიების სააგენტოდ“. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“ წარმოადგენს სსიპ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლეს და აგრეთვე სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლეს სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის (ე.წ. რეგრესული პენსიების), ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების, ელექტროენერჯის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის, ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირების) მიერ მონარგებული ელექტროენერჯის საფასურის კომპენსაციის, 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების ანაზღაურების ნაწილში.

მუხლი 2. ეს კანონი გარდა პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2006 წლის 25 დეკემბრიდან.

მუხლი 3. სსიპ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს“ საქმიანობის უწყვეტობის მიზნით, ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს შესაბამისად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ დებულების დამტკიცებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის დღიდან.